საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 449

2011 წ. "09" 12

ქ. თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი (major) პროგრამისა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების: დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება ; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითად (major) პროგრამას: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების: დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება ; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის №14 სხდომის ოქმის 32-ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე